საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,646)	(7,501)
მარაგების ზრდა		(1,492)	(5,368)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		7,583	9,031
გადახდილი პროცენტი		(1,897)	(862)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(876)	(5,374)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხა		(316)	(144)
არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხა		(25)	-
საინვესტიციო ქონებაში გადახდილი თანხა		-	(47)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული თანხა		-	642
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		(341)	451
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		3,020	4,852
სესხების აღებით მიღებული თანხები		-	16,258
სესხების გადახდით გასული თანხები		(2,710)	(14,294)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული		310	6,816
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(907)	1,893
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	2,247	719
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე		(14)	(365)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	1,326	2,247

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2020 წლის 24 იანვარს:

თეიმურაზ ჭოხონელიძე
 დირექტორი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აქსის გრუპი დაფუძნდა 2012 წლის 6 აგვისტოს. მისი რეგისტრირებული ოფისის მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქუჩა #40.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას, კომპანია ასევე სამშენებლო მომსახურებას უწევს ამხანაგობებს ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ახორციელებს როგორც აშენებული ფართების რეალიზაციას, ასევე იჯარით გაცემას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 50%-ს ფლობდა შპს აქსისი, 40%-ს ალექსანდრე სამარგულიანი, 5%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჭავჭავაძის 49 და 5%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აქსის კონსტრაქშენი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 211, 100 და 113 ადამიანი, შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 24 იანვარს.

2. შესაბამისობის ანგარიში

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს). კომპანია ფასს-ზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვარს. გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით, ფასს 1 მოითხოვს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის განმავლობაში მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტულ გამოყენებას. ეს ვერსია გამოყენებულია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე - არსებული ფინანსური მდგომარეობის პირველი ფასს ანგარიშგების მომზადებისას.

ვინაიდან კომპანიას არ ევალებოდა ფინანსური ინფორმაციის მომზადება ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაო პრინციპების (ბასს) მიხედვით და არც მოუმზადებია ის, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შედარება წინა ბასს და ფასს ინფორმაციას შორის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე („ფასს“) სრულად გადასვლის მიზნით.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც ძალაში იქნება როდესაც კომპანია მოამზადებს თავის ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ხელმძღვანელობამ არ გამოიყენა შემდეგი ახალი და შეცვლილი ფასს-ები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2018 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (და შესაბამისი განმარტებები);
- ფასს 2 (შესწორება) - აქციებზე დაფუძნებული გადახდის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება;
- ბასს 40 (შესწორება) - საინვესტიციო ქონების გადაცემა;

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

- ფასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი;
- შესწორება ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასიკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

კომპანიამ ფასს 15 და ფასს 9 პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი და შინაარსი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანიამ ფასს 9 პროსპექტიულად გამოიყენა, საწყისი გამოყენების თარიღით - 2017 წლის 1 იანვარი. კომპანიამ შეჯამებითი ინფორმაცია არ გადააფასა და კვლავაც უჩვენებს მას ბასს 39-ის შესაბამისად. ფასს 9-ის გამოყენებით გამოწვეული სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აისახა. 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი არ იყო არსებითი.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად შეიცვალა ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების აღრიცხვის წესი, რადგან ბასს 39-ის გაწეული ზარალის მიდგომა ჩანაცვლდა ფორვარდული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) მიდგომით. ფასს 9-ის თანახმად, კომპანია ვალდებულია, მსდ-ის რეზერვი აღიაროს ყველა სავალუტო ინსტრუმენტზე, რომელიც რეალური ღირებულებით არ არის აღრიცხული, მოგება-ზარალში და სახელშეკრულებო აქტივებში.

ფასს 15 - შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ანაცვლებს შემდეგ სტანდარტებს: ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და გარკვეული შეზღუდვებით, ვრცელდება ყველა შემოსავალზე, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიიღება. სტანდარტი გვთავაზობს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების ხუთეტაპიან მოდელს და მოითხოვს, რომ შემოსავლის აღიარება მოხდეს იმ ოდენობით, რომელშიც ასახულია კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელი ანაზღაურების ოდენობა.

ფასს 15 კომპანიებს ავალდებულებს, გამოიყენონ დასკვნებზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ზომის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის მოპოვების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. გარდა ამისა, სტანდარტი ვრცელ განმარტებებსაც მოითხოვს.

კომპანიამ ფასს 15 2018 წლის 1 იანვრიდან მიიღო, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით. კომპანიამ შეჯამებითი ინფორმაცია არ გადააფასა და კვლავაც უჩვენებს მას ბასს 18-ის და ბასს 11-ის შესაბამისად. ფასს 15-ის გამოყენებით გამოწვეული სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აისახა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 15-ის გამოყენების ეფექტი იყო:

(ქართული ლარი)	31 დეკემბერი 2017	ფასს 15-ის გამოყენების ეფექტი	1 იანვარი 2018
აქტივები			
მარაგები	14,183	(995)	13,188
სულ აქტივები	14,183	(995)	13,188
ვალდებულებები			

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

მიღებული ავანსები	(24,325)	1,983	(22,342)
სულ ვალდებულებები	(24,325)	1,983	(22,342)
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(9,857)	988	(8,869)
სულ კაპიტალი	(9,857)	988	(8,869)
		ფასს 15-ის გამოყენების ეფექტი	
(ქართული ლარი)	2017		2017
შემოსავალი			
შემოსავალი ბიზნის რეალიზაციიდან	8,209	1,983	10,192
შემოსავალი	8,209	1,983	10,192
თვითღირებულება			
რეალიზებული ბიზნის თვითღირებულება	(5,830)	(995)	(8,825)
სულ რეალიზებული ბიზნის თვითღირებულება	(5,830)	(995)	(6,785)
სულ მოგება ბიზნის რეალიზაციიდან	2,379	988	3,367

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 16 - იჯარა¹;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები²;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით¹;
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში³;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი¹.
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება³;
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დარიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა⁴;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)⁵.

¹. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

². ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

³. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

⁴. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ან მთლიანად რეტროსპექტული გამოყენებით ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენებით, ჯამური ინფორმაციის რეტროსპექტულად ან პროსპექტულად გადაანგარიშების გარეშე;

⁵. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის საწყისი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით გამოიყენოს, რაც

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფასს 16: C5(6) შესაბამისია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ დღეს, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები, მათ შორის, მიწა, შენობა-ნაგებობები და გადამცემი ხაზები საიჯარო ვალდებულებას წარმოადგენს. ცვლადანაზღაურებიანი აქტივებისა და 12 თვეზე ნაკლები საკონტრაქტო ვადიანობის აქტივების შემთხვევაში, კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული გამოწვევის საშუალება და იჯარას არ აღიარებს. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ვადა 2-5 წელია. შესაბამისად, კომპანია შეჯამებულ ინფორმაციას არ გადააფასებს. კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამოწვევის და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელოვნად არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას იჯარის გამცემს იჯარა ან საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 16-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდა უარყოფითი ანაზღაურების მახასიათებლებით

ფასს 9-ის შესწორება განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდევ.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 9-ის შესწორება საგრძნობ ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს ოთხი სტანდარტის შესწორებას: ფასს 3 “ზიზნესების გაერთიანება”, ფასს 11 “ერთობლივი საქმიანობა”, ბასს 12 “მოგების გადასახადები” და ბასს 23 “სესხის აღების ხარჯები”.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგება-ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

შემთხვევას, იმის მიუხედავად, თუ განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა აღებული სესხის რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა იხელმძღვანელოს ეტაპობრივად განხორციელებული გაერთიანების მოთხოვნებით, მათ შორის რეალური ღირებულებით გადააფასოს ერთობლივ საქმიანობაში ადრე ფლობილი წილი. ამ უკანასკნელში უნდა შევიდეს არაღიარებული აქტივები, ვალდებულებები და გუდვილი, რომელიც ერთობლივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ადრე ფლობილი წილები.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დარიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 გვთავაზობს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის მეთოდს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია პირებს ავალდებულებს:

- განსაზღვრონ, გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად შეაფასონ თუ ჯგუფად; და
- შეაფასონ, რამდენად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოყენებული ან შემოთავაზებული დარიცხვის წესს მოგების გადასახადის დეკლარაციაში:
 - თუ სავარაუდოა, მაშინ პირმა საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია უნდა დაადგინოს გამოყენებულ ან დაგეგმილ დარიცხვასთან თანმიმდევრულად.
 - თუ არ არის სავარაუდო, მაშინ პირმა გაურკვევლობის ეფექტი უნდა ასახოს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის წესში.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სადარიცხო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლელა და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

ფართების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროის განმავლობაში სრულად შესასრულებელი ვალდებულების სრულად დაკმაყოფილების მიღწევის საფუძველზე (ანგარიშგების თარიღამდე გაწეული ხარჯების პროპორცია მოსალოდნელი პროექტის ხარჯებთან). გამოთვლილი შესრულების პროცენტი რომელიც გამოთვლილია მთლიანი ხარჯების საფუძველზე გამრავლებულია ბინის სარეალიზაციო ფასზე და შესაბამისად არის აღიარებული ბინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ფინანსურ ანგარიშგებაში. დაფინანსების კომპონენტი არამატერიალურია.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან აღიარებულია დროის განმავლობაში (ანგარიშგების თარიღამდე გაწეულ ხარჯებს დამატებული წინასწარ შეთანხმებული მარჟა).

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიას მომხარებელთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ა) ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების შესრულების ვალდებულება აიღეს;
- ბ) კომპანიას შეუძლია გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- გ) კომპანიას შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- დ) ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება კომპანიას სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკი); და
- ე) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ანაზღაურების თანხის მიღების ალბათობის შესაფასებლად, საწარმომ უნდა განიხილოს მხოლოდ მომხმარებლის უნარი და განზრახვა, გადაიხადოს მოცემული ანაზღაურების თანხა, მისი გადახდის ვადის დადგომისას. ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღების უფლებაც საწარმომ აქვს, შეიძლება ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები იყოს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების სიდიდე ცვალებადია იმის გამო, რომ საწარმომ შეიძლება ფასდათმობა შესთავაზოს მომხმარებელს.

სახელშეკრულებო აქტივი და ვალდებულება

თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, კომპანია ამ ხელშეკრულებას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს სახელშეკრულებო აქტივის ან სახელშეკრულებო ვალდებულების სახით, იმისდა მიხედვით რა მდგომარეობაა კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულებისა და მომხმარებლის მიერ გადახდის კუთხით.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ლარი /1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2.6468
ლარი /1 ევრო	3.0701	3.1044	2.7940

გადასახადები

მოგების გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ კომპანიაში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება კომპანიაში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებები 10D8ს მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიან ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების კომპანიაში.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო კვალიფიციური აქტივებისათვის - კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის აღების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამოჩნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამოჩნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება ნაშთის შემცირებადი მეთოდით:

მანქანა-დანადგარები	20%
ავეჯი და ოფისი აღჭურვილობა	20%
სხვა	10%-20%

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაგარაუდვეი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შემდეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება ფიფო მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები, სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოგება აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოღინებაზე.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა მისი თვითღირებულების ქვემოთ, ითვლება გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორცაა დეფოლტი ან გადახდისუნარიობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- დეფოლტი ან გადახდისუნარიობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსულ გამოცდილებას გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, 60 დღიანი საშუალო საკრედიტო პერიოდზე მეტით დაგვიანებული გადახდების რიცხვის ზრდას, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების დაკვირვებად ცვლილებებს, რომლებიც შესაბამისობაშია მოთხოვნებზე არსებულ დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარებული ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო უკუღების განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ამგვარი გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდებში არ აღდგება.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების დანაკარგები პირდაპირ აკლდება, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა. ამ შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის მეშვეობით. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის ამოღება შეუძლებლად ითვლება, იგი ჩამოიწერება ანარიცხების ანგარიშის გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება ანარიცხების ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის წინა საბალანსო ღირებულებას ანაწილებს კვლავაც აღიარებულ ნაწილსა და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილს შორის გადაცემის დღეს ამ ნაწილების ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით. სხვაობა, ერთი მხრივ, აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილში მიღებული ანაზღაურებისა და მასზე მიკუთვნებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კუმულატიური მოგებასა თუ ზარალის ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულატიური მოგება ან ზარალი აღიარება შენარჩუნებულ და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილებს შორის ნაწილდება მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, გადახდების დეფოლტი ან გადახდისუუნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთოვნა პოტენციურად გაუფასურებულია. თუ კლიენტის საკრედიტო ხარისხი გაუარესდა ან რეალური დეფოლტი უფრო მაღალია შეფასებულ ოდენობაზე, რეალური შედეგები შეფასებულისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. ამოსაღებია თუმცა, კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე, ზემოაღნიშნულს შეუძლია კომპანიისათვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

5. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია განაგრძობს მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას. ამ შეფასების გაკეთებისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი 13,477 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან ერთად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება კომპანიის მიმდინარე აქტივებს 4,014 ათასი ლარით. ასევე 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას აქვს 4,608 ათასი ლარის წლის სრული ზარალი და 876 ათასი ლარის ოდენობით საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები. ამ მოვლენებსა და გარემოებებს შეუძლია ექვექვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, ოპერირება გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მართებულია შემდეგი მიზეზების გამო:

- მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მომავალში კომპანია შეძლებს საკმარისი მოგების გამომუშავებას და გააფართოვებს ოპერაციებს, რაც გადაჭრის ლიკვიდობის დეფიციტის პრობლემას და უზრუნველყოფს ოპერაციების დასაფინანსებლად საკმარისი თანხების არსებობას.

კომპანიის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია კომპანიის მომავალ სტრატეგიაზე და ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე და მოზიდვაზე.

აღნიშნული მოვლენები და პირობები მიუთითებს, რომ არსებობს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი ექვი კომპანიის შესაძლებლობაზე, ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული რაიმე სახის კორექტირება, რაც დაკავშირებული იქნებოდა აღრიცხული აქტივების ღირებულებათა აღდგენა-კლასიფიკაციასთან და იმ ვალდებულებათა კლასიფიკაციასთან, რაც შეიძლება აუცილებელი გახდეს, თუ კომპანიამ ვეღარ შეძლო ფუნქციონირებადი საწარმოს ფორმით ოპერირების გაგრძელება.

6. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მოიცავს:

	2018	2017
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	5,701	-
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	4,246	6,124
შემოსავალი იჯაროდან	716	250
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	293	408
სხვა შემოსავალი	575	1,427
სულ შემოსავალი	11,531	8,209

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	4,580	2,362
ცვეთა და ამროტიზაცია	122	123
კომუნიკაციის ხარჯი	26	24
იურიდიული ხარჯი	35	24
სხვა	662	207
	5,425	2,740

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

8. ძირითადი საშუალებები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	მიწა	ავეჯო და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარ ები	ოფისის აღჭურვი ლობა	სამშენებლო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება							
1 იანვარი 2017	2,891	121	356	153	245	22	3,788
შესყიდვა	-	7	14	117	6	-	144
რეალიზაცია	(789)	-	-	(1)	-	-	(790)
31 დეკემბერი, 2017	2,102	128	370	269	251	22	3,142
შესყიდვა	229	7	-	55	2	23	316
რეალიზაცია	-	-	-	-	-	(6)	(6)
31 დეკემბერი, 2018	2,331	135	370	314	253	39	3,452
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2017	-	24	85	40	47	4	200
ცვეთის დარიცხვა	-	25	52	38	51	4	170
31 დეკემბერი, 2017	-	49	137	78	98	8	370
ცვეთის დარიცხვა	-	29	53	58	50	4	194
31 დეკემბერი, 2018	-	78	190	136	148	12	564
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი, 2017	2,891	97	271	113	198	18	3,588
31 დეკემბერი, 2017	2,102	79	233	191	153	14	2,772
31 დეკემბერი 2018	2,331	57	180	178	105	27	2,888

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2,888 ათასი ლარის, 2,772 ათასი ლარის და 3,588 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებების ძირითადი საშუალებები, გამოყენებული იქნა უზრუნველყოფად საბანკო სესხებთან, საბანკო გარანტიებთან და საკრედიტო ხაზებთან მიმართებაში.

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

9. საინვესტიციო ქონება

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება მოიცავს:

	შენობა ნაგებობა	სულ
ისტორიული ღირებულება		
1 იანვარი 2017	1,228	1,228
შესყიდვა	47	47
რეალიზაცია	-	-
31 დეკემბერი, 2017	1,275	1,275
შესყიდვა	-	-
რეალიზაცია	-	-
31 დეკემბერი, 2018	1,275	1,275
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი 2017	95	95
ცვეთის დარიცხვა	61	61
31 დეკემბერი, 2017	156	156
ცვეთის დარიცხვა	64	64
31 დეკემბერი, 2018	220	220
წმინდა საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი, 2017	1,133	1,133
31 დეკემბერი, 2017	1,119	1,119
31 დეკემბერი 2018	1,055	1,055

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

10. მარაგები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
დაუმთავრებელი მშენებლობა	12,194	10,868	1,115
სამშენებლო მასალები	1,069	1,010	7,762
სხვა	1,480	2,368	-
გაუფასურების რეზერვი	(63)	(63)	(11)
	14,680	14,183	8,866

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	7,065	8,734	2,390
მოთხოვნები კომპანიის პერსონალის მიმართ	3	9	71
სხვა მოთხოვნები	4	-	933
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(286)	(286)	(337)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	6,786	8,457	3,057
გაცემული ავანსები	17,354	14,749	12,597
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,140	23,206	15,654

12. ფული და ფულის ექვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული საღაროში	-	-	-
ფული ბანკში	1,326	2,247	719
სულ	1,326	2,247	719

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

13. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სრულად გადახდილმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 13,540 ათასი, 10,520 ათასი და 5,628 ათასი ლარი, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 50%-ს ფლობდა შპს აქსისი და 40%-ს ალექსანდრე სამარგულიანი, 5%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჭავჭავაძის 49 და 5%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აქსის კონსტრუქშენი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიამ გაზარდა საწესდებო კაპიტალი 3,020 ლარით და 4,892 ათასი ლარით, შესაბამისად.

14. სესხები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო		31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
		განაკვეთი	ვადიანობა			
სს ბანკი ქართუ	დოლარი	11%	25/12/2017	3,696	2,665	15,821
სს ბანკი ქართუ	ლარი	13%	29/10/2017	11,613	12,310	-
სხვა	დოლარი	11%	25/12/2017	-	-	571
სხვა	ლარი	13%	30/09/2019	-	3,021	-
სულ სესხები				15,309	17,996	16,392

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ერთ წლამდე	15,309	14,975	16,392
ერთ წელზე მეტი	-	3,021	-
სულ	15,309	17,996	16,392

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მიღებული ავანსები	28,215	24,325	15,591
სავაჭრო ვალდებულებები	1,142	638	353
სხვა ვალდებულებები	29	13	1
	29,386	24,976	15,945

16. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედ კომპანიებისათვის პოტენციური ხელშეშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი*
სავაჭრო მოთხოვნები	-	5,426	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	1,274	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27	511	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი*
შემოსავალი	-	394	-
ხელფასი და შესაბამისი ხარჯები	608	-	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი*
სავაჭრო მოთხოვნები	-	1,305	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	10,839	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,080	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი*
შემოსავალი	-	6,104	-
ხელფასი და შესაბამისი ხარჯები	-	-	389

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ პირებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	889	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	9,979	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1,530	-

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

18. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასების მესამე დონის კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

19. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2017
სულ სესხები (შენიშვნა 13)	15,309	17,996	16,392
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 11)	(1,326)	(2,247)	(719)
წმინდა სესხები	13,983	15,749	15,673
 სულ კაპიტალი	 63	 675	 (2,332)
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	22,195%	2,333%	(672)%

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია სრულად დაფინანსებულია სესხებით.

საბაზრო რისკი

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი ეკისრება. კომპანია ამ რისკის სამართავად მონიტორინგს უკეთებს უცხოურ ვალუტაში საბალანსო პოზიციას.

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო:

	31 დეკემბერი 2018	
	USD 1 = 2.6766GEL	EUR 1 = 3.0701 GEL
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის		
ექვივალენტები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	3,696	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,696	-
სულ წმინდა პოზიცია	(3,696)	-

	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044 GEL	USD 1 = 2.6468 GEL	EUR 1 = 2.7940 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის				
ექვივალენტები	1,386	11	158	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	220	5	220	-
სულ ფინანსური აქტივები	1,606	16	378	-
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	2,665	-	16,392	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,665	-	16,392	-
სულ წმინდა პოზიცია	(1,059)	16	(16,014)	-

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) **2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის** ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2018 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(739)	739	-	-

2017 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(106)	106	2	(2)

2017 წლის 1 იანვარი:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	(1,601)	1,601	-	-

საკრედიტო რისკის მართვა

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. კომპანიაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

საპროცენტო რისკი

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება) **2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის** ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

2018 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2018 სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	1,326	-	1,326
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,786	-	6,786
სულ ფინანსური აქტივები	8,112	-	8,112
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,171	-	1,171
სესხები	15,309	-	15,309
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,480	-	16,480
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	(8,368)	-	(8,368)

2017 წლის 31 დეკემბერი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2017 სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2,247	-	2,247
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,457	-	8,457
სულ ფინანსური აქტივები	10,704	-	10,704
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	651	-	651
სესხები	14,875	3,021	17,996
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,526	3,031	18,647
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	(4,822)	(3,021)	(7,943)

შპს აქსის გრუპი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

2017 წლის 1 იანვარი:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	1 იანვარი 2017 სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	719	-	719
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,057	-	3,057
სულ ფინანსური აქტივები	3,776	-	3,776
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	354	-	354
სესხები	16,392	-	16,392
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,746	-	16,746
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	(12,970)	-	(12,970)

20. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს აქსის გრუპი

მმართველობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

მმართველობის ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა:

შპს „აქსის გრუპი“ დაარსდა 2012 წლის 6 აგვისტოს. რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 404954117, იურიდიულ მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ., #40, კორპ.2, ბ.21.

შპს „აქსის გრუპი“-ს პარტნიორები:

ალექსანდრე სამარგულიანი (პ/ნ 01024032511) 40% წილის მფლობელი პარტნიორი;

შპს „აქსისი“ (ს/ნ 211393357) 50% წილის მფლობელი პარტნიორი;

შპს „აქსის კონსტრუქციები“ (ს/ნ 405076956) 5% წილის მფლობელი პარტნიორი;

შპს ჭავჭავაძე 49დ“-ს (ს/კ 404578621) 5% წილის მფლობელი პარტნიორი;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების დეველოპმენტი. შპს „აქსის გრუპი“ ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც გახდა თავისი დარგის პიონერი და სხვადასხვა მიმართულების განვითარების ინიციატორი, ქვეყანაში შემოიტანა თანამედროვე არქიტექტურის, მენეჯმენტისა და მომსახურების სრულიად ახალი მიდგომა. მისმა საქმიანობამ აგრეთვე განაპირობა ახალი დარგებისა და ბიზნესების გაჩენის აუცილებლობა, რითაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

„აქსისის“ ასოცირება მუდმივად ხდება ინოვაციასა და პირველობასთან. იგი გახდა დარგის ლოკომოტივი და ბაზარზე სტანდარტის დამწერგავი დეველოპერული კომპანია. დღეს კომპანია წარმატებით ასრულებს მშენებლობას საქართველოში და მისი უნიკალური არქიტექტურით და გამორჩეული ინფრასტრუქტურით თანამედროვე თბილისის ლენდშაპად ყალიბდება. აქსისის პროექტები გამოირჩევა თავისი მასშტაბებით, მრავალფეროვნებით, ინოვაციური მიდგომებით, თანამედროვე არქიტექტურითა და რაც მთავარია ხარისხით, რის გამოც წლებია მომხმარებელი ირჩევს „აქსისს“.

აქსის გრუპს განხორციელებული აქვს 10-ზე მეტი წარმატებული საცხოვრებელი, საოფისე, სასტუმრო და სავაჭრო სივრცის პროექტები.

აქსისის გუნდი წლებია ემსახურება საერთო იდეას საერთო ღირებულებებით: ხარისხი, ინოვაცია, განვითარება. ის წლებია ცდილობს შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც ცხოვრების სტილის სრულიად ახალ სტანდარტს და მოთხოვნებს დაწერგავს საქართველოში. კომპანიის მიზანი კი გარემოს განვითარებაა, რომელიც მოიტანს თითოეული მოქალაქის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

კომპანიის 2018 წლის მიმდინარე პროექტებია:

- აქსისი ჭავჭავაძის 75 - ში
- აქსისი საირმეზე
- აქსისი აბაშიძის 34 - ში
- აქსის პალასი 1
- აქსის პალასი 2
- აქსისი იპოდრომზე (კარტოზიას #2 და კარტოზიას #4)
- წინამძღვრიშვილის 125

აღნიშნული პროექტები მშენებლობის სხვადასხვა ფაზებშია; შესაბამისად დასრულებულ პროექტებში მოხდა მობინადრეთა შესახლება, მოეწყო გარე ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული ზონები, მოსესრიგდა პარკინგის ზონები, გაეშვა კონსიერჟ-მომსახურება, ხოლო მშენებარე ობიექტებზე მიმდინარეობს გრაფიკით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები.

2018 წლის გაყიდვები დაღმავალი ტენდენციით გამოიხატა, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვემოთ აღნიშნული რისკ-ფაქტორებით:

შპს აქსის გრუპი

მმართველობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ძირითადი რისკები:

კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- იპოთეკურ სესხებზე ახალი საბანკო რეგულაციები
- გამკაცრებული სამშენებლო რეგულაციები

მომავლის გეგმები:

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა კომპანიის სამომავლო მიზანია შეინარჩუნოს ნოვატორი, საუკეთესო ხარისხის პროდუქტის შემქმნელი ბრენდის პოზიცია და უკვე მუშაობს 3 ახალ მულტიფუნქციურ პროექტზე ქალაქის ცენტრალურ უბნებში და უახლოეს მომავალში გააცნობს საზოგადოებას; ასევე დაგეგმილი აქვს სტუმართმასპინძლობის და ტურიზმის სექტორში რამდენიმე საინტერესო პროექტის დაწყება.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება:

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის ეფექტურობაზე, კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი - თეიმურაზ ჭოხონელიძე. დღეისათვის კომპანიაში დასაქმებულია 200-ზე მეტი თანამშრომელი; ორგანიზაცია აერთიანებს 10 დეპარტამენტს: არქიტექტორულს, საინჟინროს, სამშენებლოს, დიზაინის, პროექტების მართვის, ფინანსების, იურიდიულ, გაყიდვებისა და სერვისის და მარკეტინგის განყოფილებებს.

ბოლო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპანიაში შრომის უსაფრთხოების სისტემების დანერგვის პროგრამას ახალი რეგულაციების შესაბამისად. ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი სისტემატურ რეჟიმში ახორციელებს თანამშრომელთა ტრენინგებს, ახდენს ახალი რეგულაციების გაცნობას და ცნობიერების ამაღლებას.

კორპორაციული მართვის სრულყოფისთვის კომპანია ნერგავს საერთაშორისო სტანდარტების, საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა.

თანამშრომელთა ჩართულობა - საბოლოო პროდუქტის მიღებისას ყველა თანამშრომელი გრძნობს თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი შექმნის პროცესში.

თანასწორობა - ყველა თანამშრომელს აქვს თანაბარი შესაძლებლობა დაიცვას მისი ინტერესი და უფლება, გამოხატოს აზრი და დააფიქსიროს მისი პოზიცია.

ინტერესთა კონფლიქტის მართვა - განიმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი-დირექტორი.